## თვითმმართველი ქალაქის -ქუთაისის 2014 წლის

## ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2013 წლის 25 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N233 დადგენილებით 43704,5 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 11 ცვლილება და წლის ბოლოს 64611,5 ათასი ლარი შეადგინა.

2014 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

- ქალაქის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- სკოლამდელი განათლება;
- კულტურა, რელიგია, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა;
- საგანგებო სიტუაციების პრევენცია, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების გეგმის ფაქტობრივმა შესრულებამ (ნაშთის ჩათვლით) 64832.8 ათასი ლარი შეადგინა.

### ქალაქ ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება | 2014 წელი | | |
|---|---|---|---|
| | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება |
| შემოსავლები | 40,486.8 | 53,767.1 | 53,896.2 |
| გადასახადები | 4,500.0 | 4,500.0 | 4,664.7 |
| გრანტები | 29,271.8 | 41,528.6 | 41,431.9 |
| სხვა შემოსავლები | 6,715.0 | 7,738.5 | 7,799.6 |
| ხარჯები | 41,747.9 | 45,762.4 | 42,807.0 |
| შრომის ანაზღაურება | 5,507.9 | 4,637.8 | 4,163.9 |
| საქონელი და მომსახურება | 4,953.7 | 5,573.4 | 4,678.5 |
| პროცენტი | 181.0 | 171.0 | 167.2 |
| სუბსიდიები | 28,895.3 | 32,898.2 | 31,575.5 |
| გრანტები | 0.0 | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,210.0 | 2,482.0 | 2,221.9 |
| სხვა ხარჯები | | 0.0 | 0.0 |
| საოპერაციო სალდო | -1,261.1 | 8,004.7 | 11,089.2 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | -1,156.4 | 15,694.2 | 12,096.3 |
| ზრდა | 1,143.6 | 17,994.2 | 14,488.5 |
| კლება | 2,300.0 | 2,300.0 | 2,392.2 |
| მთლიანი სალდო | -104.7 | -7,689.5 | -1,007.1 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -917.7 | -8,544.4 | -1,851.6 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 6,676.4 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.0 | | 6,676.4 |
| კლება | 917.7 | 8,544.4 | 8,528.0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 917.7 | 8,544.4 | 8,528.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | -813.0 | -854.9 | -844.5 |
| ზრდა | 0.0 | | |
| კლება | 813.0 | 854.9 | 844.5 |
| საშინაო | 813.0 | 854.9 | 844.5 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 |




სახეობების მიხედვით შემოსულობები შემდეგნაირად გამოიყურება:



**შემოსავლები**

ქალაქ ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 53896,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 53767,1 ათასი ლარის 100,2%-ია და მთლიანი შემოსულობების 83,1%.




**გადასახადების** სახით 2014 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 4664,7 ათასი ლარი, რომლის დიდი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. გეგმა (4500,0 ათასი ლარი) შესრულდა 103,7%-ით.

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 4664,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (4500,0 ათასი ლარი) 103,7%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 3503,2 ათასი ლარი (გეგმა 3590,0 შესრულდა 97,6%-ით), ფიზიკურ პირთა ქონების გადასხადი - 223,0 ათასი ლარი (გეგმა 110,0 ათასი ლარი შესრულდა 202,7%-ით), გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 937,9 ათასი ლარი (გეგმის 800,0 ლარი 117,2%). სხვა გადასახადები ქონებაზე მიღებულია 0,5 ათასი ლარი. მთლიანობაში ქონების გადასახადიდან წინა წელთან (ფაქტი - 4302,7 ათასი ლარი) შედარებით მიღბულია 361,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალი. სხვა გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებულია 0,1 ათასი ლარის შემოსავალი.




| ქონების გადასახადი | 2014 წლის გეგმა | 2014 წლის ფაქტი | შესრულების % |
|---|---|---|---|
| საწარმოთა ქონებაზე გადასახადი | 3590,0 | 3503,2 | 97,6 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი | 110,0 | 223,0 | 202,7 |
| მიწაზე ქონების გადასახადი | 800,0 | 937,9 | 117,2 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | | 0,5 | |
| სულ | 4500,0 | 4664,6 | 103,7 |

## გრანტები

2014 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 41431,9 ათასი ლარი, გეგმის (41528,6 ათასი ლარი) 99,8%, აქედან **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 113,1 ათასი ლარს, სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 41170,9 ათას ლარს,** მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 29051,8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 11926,1 ათასი ლარიდან მიღებული იქნა - 11799,1 ათასი ლარი. ასევე ბიუჯეტში ჩაირიცხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება - 100,0 ათასი ლარი.




## სხვა შემოსავლები

2014 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 7799,6ათასი ლარი, რაც გეგმის 7738,5 ათასი ლარის 100,8%-ს შეადგენს.



**დივიდენდებიდან** ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 86,5 ათასი ლარი.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 384,3 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 310,0 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 74,3 ათასი ლარი გეგმა (90,0 ათასი ლარი) შესრულდა 82,6%-ით;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 2091,3 ათასი ლარი, გეგმის (1800,0 ათასი ლარი) 116,2%, სახეობების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან - 1846,1 ათასი ლარი, სისტემურ-ელქტრონული ფორმის თამაშობიდან - 240,0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 5,2 ათასი ლარი;

**ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა)** – 66,1 ათასი ლარი, გეგმის (60,0 ათასი ლარი) 110,2%;

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - ფაქტიურად შემოვიდა 17,8 ათასი ლარი, რაც გეგმას (10,0 ათასი ლარი) 7,8 ათასი ლარით აჭარბებს;

**ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** შესრულდა 103,1%-ით (გეგმა 1500,0 ათასი ლარი), ფაქტიურად შემოვიდა 1547,0 ათასი ლარი. ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 78,7 ათასი ლარი;

**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან** მიღებულია 0,4 ათასი ლარი;

**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** - ფაქტიურად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2458,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2525,0 ათასი ლარი) 97,4%-ია.

**შემოსავალი მომსახურების გაწევიდან** მიღებულია 505,0 ათასი ლარი.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** კუთხით სულ მიღებულია 563,6 ათასი ლარი, გეგმა (720,5 ათასი ლარი) შესრულდა 78,2%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2012-2013 წწ) ფაქტებიდან გამომდინარე, თუმცა 2014 წელს ამ დარგში ნაკლები შემოსავალი იქნა მიღებული, კერძოდ_ შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან - 302,6 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი - 261,0 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივები**

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 2392,2 ათასი ლარი, გეგმა (2300,0 ათასი ლარი) შესრულდა 104%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 1005,3 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 1386,9 ათასი ლარი.

| დასახელება | 2014 წელი | | |
|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | % |
| **არაფინანსური აქტივები** | **2300** | **2392,2** | **104** |
| შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან | 1503,0 | 1005,3 | 66,9 |
| შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან | 797,0 | 1386,9 | 174 |

**ფინანსური აქტივები**

2014 წლის ბოლოს ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 6676,4 ათასი ლარი. 2013 წლის ბოლოს ბიუჯეტის ძირითად ანგარიშზე დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 8528,0 ათასი ლარი.

**ვალდებულებები**

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2014 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 854,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

ქალაქ ქუთაისის მერიასა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2014 წლის ბიუჯეტიდან დახარჯულ იქნა ქალაქ ქუთაისში 2004–2005 წლებში განხორციელებული პროექტებისათვის აღებული ვალდებულების დასაფინანსებლად 720,7 ათასი ლარი.

წინა პერიოდში შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა 123,8 ათასი ლარი. სულ წლის მანძილზე დაიფარა 844,5 ათასი ლარის ოდენობის ვალდებულება.

## გადასახდელები

2014 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 58140,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 64611,5 ათასი ლარის 90%-ია. 2014 წლის ბოლოს განხორციელდა ხარჯვითი ნაწილის სრულყოფილი ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებები შესრულდა 100%-ით და შეადგინა 58140,0 ათასი ლარი. შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.

2014 წლის ქუთაისის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

| დასახელება | 2014 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | წლიური გეგმა | საკასო შესრულება | შესრულების % | შენიშვნა |
| ხარჯები | 45,762.4 | 42,807.0 | 90.0 | |
| შრომის ანაზღაურება | 4,637.8 | 4,163.9 | 89.8 | |
| საქონელი და მომსახურება | 5,573.4 | 4,678.5 | 83.9 | |
| პროცენტი | 171.0 | 167.2 | 97.8 | |
| სუბსიდიები | 32,898.2 | 31,575.5 | 96.0 | |
| გრანტები | | | | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,482.0 | 2,221.9 | 89.5 | |
| სხვა ხარჯები | | | | |
| არაფინანსური აქტივები | 17,994.2 | 14,488.5 | 80.5 | |
| ფინანსური აქტივები | | | | |
| ვალდებულებები | 668.0 | 664.7 | 99,5 | |
| **სულ გადასახდელები** | **64,611.5** | **58,140.0** | **90.0** | |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში:




ორგანიზაციული კლასიფიკაციით 2014 წლის გადასახდელები შემდეგნაირად გამოიყურება:

| დარგების დასახელება | 2014 წლის დაზუსტებული გეგმა | იანვარი-დეკემბერი | % |
|---|---|---|---|
| **საერთო დანიშნულების ხარჯები** | **8,528.5** | **7,457.0** | 87.4 |
| ქ. ქუთაისის საკრებულო | 1,098.8 | 1,086.3 | 98.9 |
| ქ. ქუთაისის მერია | 5,874.2 | 4,883.4 | 83.1 |
| სარეზერვო ფონდი | 400.0 | 360.0 | 90.0 |
| წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 131.9 | 123.8 | 93.9 |
| კრედიტის დაფარვა (მ.გ.ფ.) | 894.0 | 887.9 | 99.3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საგრანტე პროგრამა ,,ნარჩენების მართვის ინოვაციური გამოცდილების დანერგვა" | 24.1 | 24.1 | 100.0 |
| საგრანტე პროგრამა "ქუთაისის ეს მუშაობს" | 105.5 | 91.5 | 86.7 |
| **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **1,545.7** | **1,338.7** | 86.6 |
| მერიის სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახური | 1,276.2 | 1,144.6 | 89.7 |
| თვითმმართველი ქალაქის _ ქუთაისის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 269.5 | 194.1 | 72.0 |
| **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **29,332.3** | **25,260.2** | 86.1 |
| **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა** | **15,504.6** | **12,804.1** | 82.6 |
| გზების და ხიდების რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები | 14,932.6 | 12,363.7 | 82.8 |
| პროგრამა ,,ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია" | 500.0 | 380.7 | 76.1 |
| საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოები, ფირნიშების დამზადებისა და გაკვრის პროგრამა | 47.0 | 44.9 | 95.5 |
| შპს ქუთსპეცავტო | 25.0 | 14.8 | 59.2 |
| **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **11,992.6** | **11,028.3** | 92.0 |
| დასუფთავების ღონისძიებები | 3,379.3 | 3,155.6 | 93.4 |
| საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, მათ შორის: | 1,592.6 | 1,223.2 | 76.8 |
| პროგრამა "კორპუსი" | 3,543.0 | 3,295.5 | 93.0 |
| ,,ღატაკთა ოჯახი" | 150.0 | 105.2 | 70.1 |
| გარე განათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 3,327.7 | 3,248.8 | 97.6 |
| **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **1,527.0** | **1,229.5** | 80.5 |
| შადრევნების ექსპლუატაცია | 325.0 | 305.9 | 94.1 |
| ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა | 414.8 | 350.4 | 84.5 |
| საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები | 114.6 | 54.2 | 47.3 |
| ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა | 107.0 | 101.2 | 94.6 |
| ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების, ასევე ეკონომიკური ურთიერთობებისათვის საჭირო ღონისძიებების პროგრამა | 68.0 | 11.5 | 16.9 |
| თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა | 45.0 | 15.6 | 34.7 |
| ქალაქის სხვადასხვა უბნებში საბავშვო-სათამაშო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია | 60.0 | 59.8 | 99.7 |
| უნებართვო ავტოფარეხებისა და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი | | | |
| გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები | 33.0 | 26.2 | 79.4 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა | 86.6 | 86.4 | 99.8 |
| მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა | 201.0 | 149.9 | 74.6 |
| ქალაქის სხვადასხვა უბანში ავტობუსების მოსაცდელებისა და საბაღე ძელსკამების მოწყობა-რეაბილიტაცია | 72.0 | 68.4 | 95.0 |
| **ტურიზმის განვითარების პროგრამა** | **82.0** | **68.7** | 83.8 |
| **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა** | **226.1** | **129.6** | 57.3 |
| **განათლება** | **7,959.8** | **7,631.6** | 95.9 |
| ააიპ ბაგა-ბაღების გაერთიანება | 7,232.6 | 7,227.5 | 99.9 |
| განათლების ღონისძიებები | 127.2 | 122.2 | 96.1 |
| ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობა | 600.0 | 281.9 | 47.0 |
| **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **14,269.6** | **13,791.5** | 96.6 |
| **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **5,536.1** | **5,325.4** | 96.2 |
| სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 679.5 | 617.3 | 90.8 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება | 2,986.3 | 2,885.0 | 96.6 |
| შ.პ.ს. საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი-2010“ | 940.0 | 937.4 | 99.7 |
| ააიპ ყინულის მოედანი | 382.3 | 364.3 | 95.3 |
| ოლიმპიური კომიტეტი | 10.0 | 10.0 | 100.0 |
| ააიპ სარაგბო კლუბი ,,აია" | 90.0 | 90.0 | 100.0 |
| სპორტის სასახლე | 336.0 | 309.8 | 92.2 |
| ააიპ ქუთაისის ტაიკვანდოს სპორტული კლუბი | 12.0 | 11.6 | 96.7 |
| სპორტული ტრენაჟორების მოწყობა | | | |
| შპს საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **8,362.5** | **8,149.6** | 97.5 |
| კულტურის ღონისძიებების პროგრამა | 587.3 | 529.6 | 90.2 |
| ა.ა.ი.პ. ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება | 2,797.4 | 2,797.5 | 100.0 |
| ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა | 655.3 | 648.1 | 98.9 |
| ეთნოგრაფიული მუზეუმი | 63.0 | 62.2 | 98.7 |
| სამეფო კომპლექსი ,,ოქროს ჩარდახი" | 30.0 | 30.0 | 100.0 |
| ქ. ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი | 80.0 | 80.0 | 100.0 |
| ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი | 710.0 | 710.0 | 100.0 |
| ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი | 156.0 | 156.0 | 100.0 |
| ააიპ ბოტანიკური ბაღი | 299.8 | 288.3 | 96.2 |
| ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი | 940.0 | 937.9 | 99.8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სსიპ–ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრი და მუსიკალური დარბაზი | 895.0 | 894.8 | 100.0 |
| იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრი | 209.0 | 209.0 | 100.0 |
| ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის N46ა-ში (ხარაზოვის ბაღში) მდებარე შენობა დარბაზის რეაბილიტაცია-მშენებლობის პროგრამა | 555.0 | 555.0 | 100.0 |
| მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამა | 90.0 | | 0.0 |
| ქალაქ ქუთაისში ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის მშენებლობა | 249.7 | 216.2 | 86.6 |
| სკულპტურული ქანდაკებების დადგმა - დემონტაჟი და მემორიალური დაფების მოწყობა | 45.0 | 35.0 | 77.8 |
| **საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა** | **100.0** | **71.8** | 71.8 |
| **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება** | **236.0** | **209.8** | 88.9 |
| **ქუთაის-გაენათის ეპარქია** | **35.0** | **34.9** | 99.7 |
| **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2,975.6** | **2,661.0** | 89.4 |
| **ჯანდაცვის პროგრამები** | **950.0** | **888.1** | 93.5 |
| საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა | 65.7 | 65.6 | 99.8 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი | 84.3 | 53.8 | |
| ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა | 30.0 | 25.2 | 84.0 |
| მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 330.0 | 319.0 | 96.7 |
| სამედიცინო დახმარების პროგრამა | 440.0 | 424.5 | 96.5 |
| **სოციალური პროგრამები** | **2,025.6** | **1,772.9** | 87.5 |
| სოციალური საცხოვრისის პროგრამა | 28.0 | 19.8 | 70.7 |
| მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 500.0 | 391.8 | 78.4 |
| სარიტუალო დახმარების პროგრამა | 70.0 | 36.4 | 52.0 |
| სოციალური ღონისძიებების პროგრამა | 295.0 | 282.2 | 95.7 |
| უფასო მგზავრობის პროგრამა | 160.0 | 144.0 | 90.0 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამა | 25.0 | 19.5 | 78.0 |
| ვეტერნათა ქუთაისის საქალაქო კავშირი | 5.0 | 5.0 | 100.0 |
| განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა | 160.0 | 116.7 | 72.9 |
| ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი | 532.6 | 511.6 | 96.1 |
| ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა | 240.0 | 235.9 | 98.3 |
| შინმოვლის პროგრამა | 10.0 | 10.0 | 100.0 |
| **სულ ხარჯები** | **64,611.5** | **58,140.0** | 90.0 |

**სარეზერვო ფონდიდან** დახარჯულმა თანხებმა შეადგინა 360,0 ათასი ლარი (გეგმა 400,0 ათასი ლარი) მათ შორის:

მოქალაქეთა მატერიალური დახმარება - 222,7 ათასი ლარი;

სატრანსპორტო მომსახურებისათვის შპს „ტრანსპორტი 2008"-ს ჩერიცხა 1,5 ათასი ლარი; ინტელექტუალური თამაშების ,,რა? სად? როდის?" ორგანიზებისათვის - 1,2 ათასი ლარი ჩაერიცხა იმერეთის ,,ინტელექტკლუბს"; საწვავის ღირებულება - 3,1 ათასი ლარის ოდენობით ჩაერიცხა შპს „ლუკოილ ჯორჯიას"; მხატვართა სახლს „ვარლა" სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გადაერიცხა 6,0 ათასი ლარი; საშემოსავლო გადასახადი -1,0 ათასი ლარი; OSENEAT BV-ს ტვირთის ტრანსპორტირებისათვის -4,2 ათასი ლარი; ენერგო პრო ჯორგიას -1,3 ათასი ლარი; ფოლკლორის სასახლეს -1,1 ათასი ლარი; შპს „დაგს" სამსენებლო სამუშაოებისათვის -59,7 ათასი ლარი; ტექნიკური მარილის შესაძენად -18,3 ათასი ლარი; საკალათბურთო კლუბს „ქუთაისი 2010" – 20,2 ათასი ლარი; ავია ბილეთებისათვის -4,6 ათასი ლარი; შპს „ვოიაჟტურს" ფესტივალში მონაწილეობისათვის -6,1 ათასი ლარი; შპს „ოშეანეტ ჯორჯიას" ტვირთის ტრანსპორტირებისათვის 7,5 ათასი ლარი; ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნულ აკადემიას -1,5 ათასი ლარი.

**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - საანგარიშო პერიოდში ხარჯმა შეადგინა 1338,7 ათასი ლარი, გეგმა 1545,7 ათასი ლარი შესრულდა 86,6%-ით. მერიის სახანძრო უსაფრთოებისა და სამაშველო სამსახური დაფინანსდა 1144,6 ათასი ლარით, ხოლო მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - 194,1 ათასი ლარით.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის** 2014 წლის საკასო შესრულება შეადგენს 25260,2 ათას ლარს. გეგმა განისაზღვრა 29332,3 ათასი ლარით (86,1%).

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 12804,1 ათასი ლარით, გეგმა 15504,6 ათასი ლარი შესრულდა 82,6%-ით.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის საკასო შესრულებამ 11028,3 ათასი ლარი შეადგინა, გეგმა 11992,6 ათასი ლარი შესრულდა 92%-ით.

ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებების საკასო შესრულება შეადგენს 1229,5 ათას ლარს, გეგმა 1527,0 ათასი ლარი შესრულდა 80,5%-ით.

ტურიზმის განვითარების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 68,7 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 82,0 ათასი ლარით(83,8%).

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 129,6 ათასი ლარი, გეგმა (226,1 ათასი ლარი) შესრულდა 57,3%-ით.

**განათლების სფეროდან** სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 7227,5 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 7232,6 ათას ლარს (99,9%). განათლების ღონისძიებები დაფინანსდა 122,2 ათასი ლარით.

**დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროების** საკასო შესრულება შეადგენს 13791,5 ათას ლარს. გეგმა (14269,6 ათასი ლარი) შესრულდა 96,6%-ით.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის** განსაზღვრული გეგმა 5536,1 ათასი ლარი შესრულდა 96,2%-ით, გაწეული ხარჯი შეადგენს 5325,4 ათას ლარს. აქედან, სპორტის ღონისძიებების ხარჯი შეადგენს – 617,3 ათას ლარს; სპორტული ობიექტების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა – 4708,1 ათასი ლარი.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობისათვის** განსაზღვრული გეგმა 8362,5 ათასი ლარი შესრულდა 97,5%-ით, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 8149,6 ათას ლარს. მათ შორის: კულტურის ღონისძიებების დაფინანსების საკასო შესრულება – 529,6 ათასი ლარია; კულტურის ობიექტების დაფინანსება შეადგენს 7620,0 ათას ლარს.

**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის** ბიუჯეტიდან დახარჯულია 281,6 ათასი ლარი.

**ქუთაის - გაენათის ეპარქიის** ხარჯმა შეადგინა 34,9 ათასი ლარი. გეგმა 35,0 ათასი ლარი შესრულდა 99,7%-ით.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯებმა** შეადგინა 2661,0 ათასი ლარი. გეგმა 2975,6 ათასი ლარი, შესრულდა 89,4%-ით.

**ჯანდაცვის პროგრამების** ხარჯები შეადგენს 888,1 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 950,0 ათასი ლარით, დაფინანსება განხორციელდა 93,5%-ით.

**სოციალური პროგრამები** დაფინანსდა 1772,9 ათასი ლარით, გეგმა (2025,6 ათასი ლარი) შესრულდა 87,5%-ით.

**ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის** ხარჯები შეადგენს 511,6 ათას ლარს, გეგმა 532,6 ათასი ლარი, შესრულდა 96,1%-ით.

**ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირი** დაფინანსდა 5,0 ათასი ლარით (100%).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ශ. მურღულია

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის უფროსი ი. ავალიანი

**ეკონომიკური საქმიანობის** საკასო შესრულებამ 2015 წელს შეადგინა 9692,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 19987,8 ათასი ლარის 48,5%-ია. ეკონიმიკური საქმიანობის დარგში ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტს წარმოადგენს გზებისა და ხიდების რეკონსტრუქცია და მოვლა შენახვა. ვერ განხორციელდა, აღნიშნული პროექტის დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების სრულად დახარჯვა, რადგან ქალაქის ზოგიერთ ქუჩაზე (შპს „კობრას" მიერ) განხორციელებულმა სამუშაოებმა, წყლის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით, შეაფერხა გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აგრეთვე სამუშაოების შეუსრულებლობის მიზეზი გახდა დაგვიანებით გამოცხადებული ტენდერები, რაც გამოწვეული იყო საპროექტო დოკუმენტაციის წლის მეორე ნახევარში დამზადებით. აღნიშნულიდან გამომდინარე აღნიშნულ დარგში გვაქვს შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი. 2012 წელთან შედარებით (6711,5 ათასი ლარი) დაფინანსება გაიზარდა 2980,9 ათასი ლარით.




<u>გზების და ხიდების რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები</u> - დაფინანსდა 9545.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (16791,2 ათასი ლარი) 56,8%-ია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების საფუძველზე გზების კაპიტალური სამუშაოების ფარეგლებში განხორციელდა 18 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა 12 804 გრძ.მ, 9 ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა 2571 გრძ.მ და 3 ქუჩაზე გზის ა/ბეტონით საფარის მოწყობა 1265 გრძ.მ. მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით 13845.5 ათასი ლარით ქალაქში გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 53 ქუჩას საერთო სიგრძით 28 249 გრძ. მ.

<u>ქალაქ ქუთაისში საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოები, ფირნიშების დამზადებისა და გაკვრის პროგრამა</u> - საკასო შესრულებამ შეადგინა 79,5 ათასი ლარი, გეგმა (100,0) შესრულდა 79,5%-ით; აღნიშნული ბიჯეტის ფარგლებში განხორციელდა

106 საგზაო ნიშნის შეძენა, საიდანაც 60 ცალი საგზაო ნიშანი დამონტაჟდა, ხოლო დანარჩენი დასაწყობებულია.

ქალაქგარეთ მოქალაქეთა გადაყვანის უზრუნველყოფის სატრანსპორტო ხარჯებმა შეადგინა 10,0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ტურიზმის განვითარების პროგრამა - საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 21,0 ათასი ლარი, გეგმის (37,4 ათასი ლარი) 56,1%. პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა ბროშურები ქუთაისში ეკონომიკური განვითარების დინამიკის მაჩვენებლებით, ასევე ტურისტული რესურსების ამსახველი ბროშურები, პროსპექტები, ქუთაისისა და იმერეთის გზამკვლევი რუქები, ქუთაისის გზამკვლევი ბროშურა, ბანერები. ამ მასალებით 2013 წელს მონაწილობა მივიღეთ თელ ავივის, თბილისის, ბათუმის, კიევის, პოზნანის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა ბაზრობებში. სპეციალური მოწვევით მონაწილეობა მივიღეთ პოლტავაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ტურიზმის განვითრების საკითხებს მიეძღვნა, ასევე მონაწილეობა მივიღეთ კიევში გამართული მსოფლიოს ერთერთ უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც ასევე მიეძღვნა ტურიზმსა და თაფლის წარმოების საკითხებს.ასევე მოწყო შეხვედრა იტალიელ ექსპერტებთან ტურიზმის განვითრების საკითხებში, სადაც ქუთაისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინვესტიციების მართვის სამსახურმა მოაწყო პრეზენტაცია ქუთაისის ტურსტული რესურსების, გაწეული მუშაობისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ. მონაწილეობა მივიღეთ USAID პროგრამა „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაციაში" გამართებულ საერთაშორისო ფორუმში. ხარკოვში მოეწყო ქუთაისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინვესტიციების მართვის სამსახურის შეხვედრები ადგილობრივი ტუროპერატორებისა და ტურაგენტებისათვის, რომლის დროსაც მათთვის გაიმართა პრეზენტაციები საქართველოსა და იმერეთის ტურისტულ პოტენციალსა და მომსახურების ფორმებზე.

თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა - სულ დაიხარჯა 17,3 ათასი ლარი და გეგმა (60,0 ათასი ლარი) შესრულდა 28,8%-ით. აღნიშნულლის ფარგლებში თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონებების (შენობა-ნაგებობები, სკვერები, ტროტუარები, გაზონები, გზის ნაწილი, ნაპირსამაგრი ნაგებობები, ელ-განათების ბოძები, ავტომანქანები, მეორადი ფერადი და შავი ლითონი, რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, ბლოკი, აგური და ა.შ.) პრივატიზების, სარგებლობაში გადაცემის, შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულების დადგენის, ასევე მდგრადობის და დემონტაჟის ხარჯების განსაზღვრისთვის შეფასდა 316 ობიექტი. ასევე თვითმმათველობის ქონების დაცვისათვის წლის მანძილზე დაიხარჯა 3,8 ათასი ლარი.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა - გეგმით გათვალისწინებული 99,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 19,0 ლარი (19,2%). პროგრამის ფარგლებში ქვეყნის გარეთ და შიგნით გამართულ გამოფენებზე დემონსტრირებულ იქნა ქუთაისური პროდუქციის შესაძლებლობები, მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, დაიბეჭდა ქუთაისის ბიზნეს პოტენციალის ამსახველი ბუკლეტები.

**გარემოს დაცვა** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 5977,4 ათასი ლარით, რაც გეგმით გათალისწინებული 7046,3 ათასი ლარის 84,8%-ია. 2012 წელთან შედარებით (4144,9 ათასი ლარი) ხარჯების მოცულობა გაიზარდა 1832,5 ათასი ლარით:




დასუფთავების ღონისძიებები - 2013 წლის 12 თვეში დაიხარჯა 3195,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3471,9 ათასი ლარი) 92%-ია. ქვეპროგრამის პარგლებში დაგვილი იქნა 848231,45 ათასი კვ.მ., მორწყვა-ჩარეცხვითი სამუშაოები ჩატარდა 4565,70 ათასი კვ.მ.-ზე, კერძო დასახლებაში, დადგენილი წესის შესაბამისად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წარმოებს კვირაში 1-ჯერ - გრაფიკის შესაბამისად, ხოლო მაგისტრალებიდან, მოედნებიდან და ქუჩებიდან - დღეში 2-ჯერ. სულ გატანილ იქნა 219668,60 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ქალაქში, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წარმოებს სადეზინფექციო-სადერატიზაციო სამუშაოები. სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა მრავალსართულიან საცხოვრებელ ბინებში განთავსებულ 6556 ბუნკერს, ხოლო სადერატიზაციო სამუშაოები 18964 მოძრავ ნაგავშემკრებ კონტეინერებს, დროებით გამოუყენებელ შენობებსა და მათი მიმდებარე ტერიტორიებს (57486 $მ^2$), ასევე ქალაქში გამავალი არხების, დიდი და მცირე მდინარეების სანაპიროებს (94600 $მ^2$). 2013 წლის 18 ივნისიდან 2013 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩის ბოლო მონაკვეთში განთავსებულ ნაგავსაყრელზე შეტანილ და გაუვნებელყოფილი იქნა 45998,89 $მ^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2013 წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ

საზღვრებში ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიებიდან იზოლირებულ იქნა 2405 ერთეული მოხეტიალე მაწანწალა ცხოველი (ძაღლი) და 246 ერთეული მეთვალყურეობის გარეშე მყოფი მსხვილფეხა ცხოველი (საქონელი, ცხენი).

2013 წლის 22 ივლისიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ქიმიური რეპელენტების გამოყენებით ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა 120 გამოძახებაზე.

საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები - დაფინანსდა 2781,7 ათასი ლარით და გეგმა (3574,4 ათასი ლარი) შესრულდა 77,8%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 20 ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა საერთო სიგრძით 3500 გრძ.მ.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის** კუთხით 2013 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 6681,9 ათასი ლარი. გეგმა (9185,1 ათასი ლარი) შესრულდა 72,7%-ით.

პროგრამა „კორპუსისთვის“ 2013 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2618,9 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 1978,4 ათასი ლარი (75,5%). პროგრამის ფარგლებში კეთილმოეწყო და აღდგა ლიფტები 62 ობიექტზე, საცხოვრებელი სახლების ეზოებში ბეტონის საფარი 70 ობიექტზე, საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები 16 ობიექტზე, საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის კომუნიკაციები 15 ობიექტზე, გადასახური მასალის შეძენა და გადაცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის 106 ობიექტზე და ასევე განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება 152 ობიექტზე.

გარეგანათება - საკასო შესრულებამ 2796,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 3600,0 ათასი ლარის 77,7%-ია; აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში ქალაქ ქუთაისში გარე განათების სისტემების, შუქნიშნებისა და ვიდეომაკონტროლებელი სისტემების ექსპლუატაციიდან განხორციელდა 13635 სანათი წერტილის (789 ობიექტი: ქუჩა, ჩიხი, სახლების წინ ტერიტორია) და შუქნიშნების (29 ობიექტი) ექსპლუატაცია, თანმიმდევრული შეკეთებითი სამუშაოებით განხორციელდა მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯის დაფარვა.

ცოტნე დადიანის ქუჩა N3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის კომუნალური ქსელის მოწყობის სამუშაოები დაფინანსდა 14,8 ათასი ლარით გეგმის (21,9 ათასი ლარი) 67,6%-ით;

შადრევნების ექსპლუატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 300,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 243,7 ათასი ლარი (81,2%).

ქალაქის გამწვანების მოვლა პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა - დაიხარჯა 836,0 ათასი ლარი, გეგმა (1025,5 ათასი ლარი) შესრულდა 81,5%-ით; განხორციელდა მწვანე საფარის მოვლა პატრონობა და ექსპლუატაცია 35 ობიექტზე (სკვერები, ბაღები, გაზონები).

საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - დაზუსტებული გეგმიდან (285,5 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 160,7 ათასი ლარი, გეგმის 56,3%.

ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 98,1 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 123,2 ათასი ლარის 79,6%-ით.

გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების ფარგლებში მოხდა გეგმით გათვალისწინებული 88,7 ათასი ლარიდან 32,9 ათასი ლარის ათვისება ( 937,1%).

ქალაქ ქუთაისის მერიის ტერიტორიული ორგანოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამიდან - დაიხარჯა 291,5 ათასი ლარი, გეგმით (425,0 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 68,6%.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამისათვის დაიხარჯა 184,2 ათასი ლარი, გეგმის (253,4 ათასი ლარი) 72,7%. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა 220 ობიექტის (გზები, ღვარსადენები, საყრდენი კედლები) საპროექტო სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

**დასვენება, კულტურა და რელიგია** 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 13791,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (14269,6 ათასი ლარი) 96,6%-ს შეადგენს, წინა წელთან შედარებით (11461,0 ათასი ლარი) აღნიშნული კუთხით დაფინანსება გაიზარდა 2330,5 ათასი ლარით:



ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2014 წლის ბიუჯეტში გამოეყო 2986,3 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 2885,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,6%-ს შეადგენს.

შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ - დაფინანსდა 93,7,4 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის (940,0 ათსი ლარი) 99,7%-ს.

ყინულის მოედნის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 382,3 ათასი ლარი დაიხარჯა 364,3 ათასი ლარი(95,3%).

ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 10,0 ათასი ლარი რომელიც სრულად დაიხარჯა.

ააიპ სარაგბო კლუბი ,,აია" დაფინანსდა 90,0 ათასი ლარით (100%-ით).

სპორტის განვითარების მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული სპორტული ღონისძიებების პროგრამა დაფინანსდა 617,3 ათასი ლარით, რაც გეგმის (679,5 ათასი ლარი) 90,8%-ია. საქართველოს სპორტის ფედერაციის მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით ქალაქის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ და საერთაშორისო რანგის სპორტულ ღონისძიებებში, რისთვისაც სპორტული მივლინებების დაფინანსებაზე დაიხარჯა 119,6 ათასი ლარი. კვების ხარჯები დაფინანსდა 53,9 ათასი ლარით, ტრანსპორტირების ხარჯებმა წლის განმავლობაში შეადგინა 5,2 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მოსახურების მუხლიდან დაფინანსდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება 257,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან დაიხარჯა 59,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში ნიჩბოსნობის ნაკრები გუნდისათვის შეძენილ იქნა ერთადგილიანი სამი ნავი, ველოსპორტის ნაკრები გუნდისათვის შეზენილ იქნა 7 ცალი საგზატკეცილო და 2 ცალი სამთო ველოსიპედი, მშვილდოსნობის ნაკრები გუნდისათვის შეძენილ იქნა 3 მშვილდი, 10 კომპლექტი ისარი და ერთი ბინოკლი, მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდისათვის შეძენილ იქნა ერთი ცალი მაღალი ხარისხის მაგიდა და ჭკვიანი რობოტი. წლის განმავლობაში ქალაქის ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებზე და გუნდის უფროსებზე გაიცა 12 თვის შრომის ანაზღაურება, ამასთან წარმატებულ სპორტსმენებზე გაიცაყოველთვიური სტიპენდიები. ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებებისათვის ბიუჯეტიდან გაიცა საპრემიო თანხები, ასევე გაეწია ერთჯერადი დახმარებები ვეტერან სპორტსმენებს და მწვრთნელებს.

ააიპ ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას 2013 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გამოეყო 2797,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2797,5 ათასი ლარი. (100%).

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხარჯმა შეადგინა 648,1 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 655,3 ათასი ლარით. (98,9%).

ეთნოგრაფიული მუზეუმი დაფინანსდა 62,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 63,0 ათასი ლარი) 98,7%-ია.

სამეფო კომპლექსი ,,ოქროს ჩარდახი" დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი 30,0 ათასი ლარი).

ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი 50,0 ათასი ლარი).

ააიპ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი -710,0 ათასი ლარი).

ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი - 156,0 ათასი ლარი).

ააიპ ბოტანიკური ბაღი დაფინანსდა 96,2%-ით (გეგმა-299,8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი - 288,3 ათასი ლარი).

ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხარჯმა შეადგინა 937,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (940,0 ათასი ლარი) 99,8%-ია.

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი -895,0 ათასი ლარი).

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი -209,0 ათასი ლარი).

ქალაქ ქუთაისში სკულპტულური ქანდაკებების დადგმისა და დემონტაჟის პროგრამის ხარჯი შეადგენს 35,0 ათას ლარს, რაც გეგმის (45,0 ათასი ლარი) 77,8%-ია.

ქალაქ ქუთაისში სოლომონ პირველის ქუჩის N46ა-ში (ხარაზოვის ბაღში) მდებარე შენობა დარბაზის რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის დაიხარჯა 555,0 ათასი ლარი, გეგმის 100%.

ქალაქ ქუთაისში ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის გამოყოფილი 249,7 ათასი ლარიდან დაიხარჯა 216,2 ათასი ლარი (86,6%).

კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული 587,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 529,6 ათასი ლარი (90,2%). 2014 წელს ქუთაისის მერიის კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის კალენდარული ღონისძიებები დაიწყო ახალი წლის აღსანიშნავი სხვადასხვა სახის წარმოდგენებით და გაგრძელდა წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებით. კულტურის ღონისძიებების პროგრამის კულტურული ღონისძიებებისათვის საჭირო სხვადასხვა პოლიგრაფიული ნაწარმის (ბუკლეტები, აფიშები, ბანერები, მოსაწვევები, პროგრამები და სხვა) გამოცემისათვის დახარჯულია 8,4 ათასი ლარი. კულტურის ღონისძიებების პროგრამის გაუთვალისწინებელი ღონისძიებები დაფინანსდა 27,5 ათასი ლარით. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის მუხლიდან დაიხარჯა 19,8 ათასი ლარი.

<u>საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა</u> დაფინანსდა 71,8%-ით (გეგმა - 100,0 ათასი ლარი; ხარჯი 71,8 ათასი ლარი).

<u>ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები</u> დაფინანსდა 88,9%-ით (გეგმა - 236,0 ათასი ლარი; ხარჯი 209,8 ათასი ლარი). ღონისძიებების ფარგლებში სულ დაფინანსდა 30 პროექტი 199,8 ათასი ლარის ოდენობით, ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია 10,0 ათასი ლარი.

ქუთაის-გაენათის ეპარქია დაფინანსდა 99,7%-ით (გეგმა - 35,0 ათასი ლარი; ხარჯი 34,9 ათასი ლარი).

**განათლების კუთხით** დახარჯულმა თანხებმა 7631,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (7959,8 ათასი ლარი) 95,9%-ია. 2013 წელთან შედარებით (6635,1 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 996,5 ათასი ლარით.




<u>ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“</u> 2014 წელს სუბსიდიის სახით დაფინანსდა 7227,5 ათასი ლარით (გეგმა 7232,6 ათასი ლარი). გაერთიანებაში ბავშვთა რაოდენობა 2014 წელს 9000-დან 10000-მდე მერყეობდა.

ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობისათვის გეგმით გამოყოფილი 600,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 281,9 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა გადავიდა 2015 წლის ბიუჯეტში.

ქალაქ ქუთაისის 2014 წლის განათლების ღონისძიებების პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი 127,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 122,2 ათასი ლარი (96,1%). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა კალენდარული ღონისძიებები სულ 15 პროექტი 114,7 ათასი ლარის ოდენობით. ტრანსპორტირებისათვის დახარჯულია 7,6 ათასი ლარი.

**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე** გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 2661.0 ლარი შეადგინა, გეგმა (2975.6 ათასი ლარი) შესრულდა 89.4%-ით.




<u>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</u> - წლის განმავლობაში პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 119.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 79.6%-ია.

<u>მედიკამენტებით უზრუნველყოფის</u> პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 319.0 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 330.0 ათასი ლარით (96.7%); პროგრამის ფარგლებში მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება გაეწიათ ინკურაბელური, ქრონიკული და მძიმე დაავადების მქონე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ პირებს. ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტებისათვის დახმარების მოცულობა განსაზღვრული იყო 100 ლარის ოდენობით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში არაუმეტეს 200 ლარისა. 2014 წელს მედიკამენტებზე დახმარება გაეწია 3886 ბენეფიციარს.

<u>სამედიცინო დახმარებისათვის</u> დაიხარჯა 424,5 ათასი ლარი, გეგმის (440,0 ათასი ლარი) 96,5%. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 1028 ბენეფიციარმა.

<u>ქალაქ ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულთა მკურალობისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების</u> პროგრამის ხარჯი შეადგენს 25,2 ათას ლარს, გეგმა (30,0 ათასი ლარი) დაფინანსდა 84%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებული 168 პირის ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა. აქედან 0-18 წლამდე 33 ბენეფიციარს ვაუჩერი გადაეცა 120 ლარის ფარგლებში, ხოლო 18 წლის ზემოთ 135 ბენეფიციარს 60 ლარის ფარგლებში.

პროგრამა ითვალისწინებდა ზოგადსაგამანათლებო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გამოკვლევებს. კერძოდ, მიზანს წარმოადგენდა კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფში, 1 და მე-2 კლასის მოსწავლეებში ყველაზე გავრცელებული პათოლოგიების: თიაქარის, სქოლიოზის გამოვლენა, მკურნალობა, პრევენცია. პროფილაქტიკური გამოკვლევა ჩაუტარდა 4 279 მოსწავლეს.

სარიტუალო დახმარების პროგრამის ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 70,0 ათას ლარს, საიდანაც დაიხარჯა 36,4 ათასი ლარი (52%). სარიტუალო დახმარების პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწით ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი დევნილის, ვეტერანის სარიტუალო ხარჯის გამღებ პირებს, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა უპატრონო მიცვალებულის და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, რომლის დაკრძალვას ოჯახი, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო ვერ უზრუნველყოფდა. პროგრამის ფარგლებში, გარდაცვლილი დევნილის სარიტუალო ხარჯის გამღებ 74 პირზე გაიცა 22 200 ლარი, ხოლო გარდაცვლილი ვეტერანის სარიტუალო ხარჯის გამღებ 24 პირზე 7200 ლარი. 2014 წელს, სარიტუალო მომსახურება დაფინანსდა პოლიციის განყოფილებებიდან მომართვის საფუძველზე 4 შემთხვევაში და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ფორსმაჟორული სიტუაციების 27 შემთხვევაში.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის - წლის განმავლობაში დაიხარჯა 391,8 ათასი ლარი, გეგმის ( 500,0 ათასი ლარი) 78,4%. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულმა (მცხოვრებმა) 370 მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომელთაც ჰყავდათ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე თვეში 20 (ოცი) ლარის ოდენობით. მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 49 ოჯახმა. ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწიათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 68 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთაც ჰყავდათ 6 (ექვსი), 7 (შვიდი), 8 (რვა), 9 (ცხრა) და მეტი შვილი. 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილის შემთხვევაში 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილის შემთხვევაში 1000 ლარის ოდენობით.

სოციალური ღონისძიებების პროგრამა - საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 282,2 ათასი ლარი, გეგმა (295,0 ათასი ლარი) შესრულდა 95,7%-ით. 2014 წელს პირველი ახალშობილის მშობელს -ზოია გელოვანს გადაეცა- 500 ლარი. ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის 40 ბენეფიციარზე მოეწყო საზეიმო სადილი, 15 ბენეფიციარს გადაეცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება, თითოეულს 200 ლარის ოდენობით. 3 და 8 მარტს მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილე 31 დედას გადაეცა მატერიალური დახმარება, თითოეულს 300 ლარის ოდენობით და ყვავილების თაიგულები. 26 აპრილს, ჩერნობილის 28-ე წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში 130 ბენეფიციარზე გაიცა მატერიალური დახმარება, თითოეულზე 100 ლარის

ოდენობით, მოეწყო საზეიმო სადილი და დამზადდა ერთი გვირგვინი. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში 2500 ბენეფიციარზე გაიცა სასურსათო ნობათი, 9 მაისს მოწყობილ ღონისძიებაში 63 ბენეფიციარზე გაიცა მატერიალური დახმარება, თითოეულზე 100 ლარის ოდენობით, მოეწყო საზეიმო სადილი და დამზადდა ორი გვირგვინი. 1 ივნისის ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება ზ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, (ატრაქციონებით უფასო მომსახურება) 22 ივლისს რეპრესირებულთა დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში 40 ბენეფიცირზე მოეწყო საზეიმო სადილი და დამზადდა ერთი გვირგვინი. შავი ზღვის სანაპიროზე სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება გაეწია 335 ბენეფიციარს. 8 აგვისტოს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალური დაფის შემკობის მიზნით, დამზადდა ერთი გვირგვინი. 1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „წითელი ჯვრის" ხანდაზმულთა კლუბის ბენეფიციარებისათვის მოეწყო ალაფურშეტი. 3 დეკემბერს ინვალიდთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილე ბენეფიციარებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა. ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მოწყობილ ღონისძიებაში 2440 ბენეფიციარზე გაიცა სასურსათო ნობათი.

<u>უფასო მგზავრობის პროგრამა</u> - წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 144,0 ათასი ლარი, გეგმის (160,0 ათასი ლარი) 90%. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 1050 ბენეფიციარმა.

<u>განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა</u> - პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 160,0 ათას ლარს, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 116,7 ათასი ლარი (72,9%). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დახმარება გაეწია 106 ბენეფიციარს.

<u>სოციალური საცხოვრისის დახმარების პროგრამის</u> ხარჯმა შეადგინა 19,8 ათასი ლარი, გეგმა (28,0 ათასი ლარი) შესრულდა 70,7%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „სოციალური საცხოვრისის" მობინადრეთა (14 ოჯახი) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება.

<u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამის</u> ხარჯმა შეადგინა 19,5 ათასი ლარი, გეგმა (25,0 ათასი ლარი) შესრულდა 78%-ით. პროგრამის ფარგლებში, ნაწილობრივ სახელწიფო დაფინანსებაზე მყოფი „ბავშვთა ადრეული განვითარებისა" და „დღის ცენტრებით" მოსარგებლე 31 ბენეფიციარისათვის, თანადაფინანსების პრინციპით, განხორციელდა მომსახურების თანხის სრულად ანაზღაურება.

<u>ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის</u> განსაზღვრული წლიური გეგმა 240,0 ათასი ლარი

დაფინანსდა 235,9 ათასი ლარით (98,3%). აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების თანადაფინასებას. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული, ყოველთვიურად განახლებადი სოციალად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0-70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, სულადობის მიხედვით აუნაზღაურდათ შემდეგი თანხები: ერთ და ორწევრიან ოჯახებს -48 ლარი; სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს -72 ლარი; ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს - 96 ლარი; რვა და მეტ წევრიან ოჯახებს- 120 ლარი.

„შინმოვლის" მომსახურების პროგრამა დაფინანსდა 10,0 ათასი ლარით (100%). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასს" შორის 2014 წლის 12 სექტემბერს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, განხორციელდა ქალაქ ქუთაისში მოქმედი „შინმოვლის" პროგრამის თანადაფინანსება. მემორანდუმის შესაბამისად, მომსახურება გაეწიათ ორგანიზაციის მიერ შერჩეულ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ 73 ბენეფიციარს, რომლებიც მიჯაჭვული იყვნენ საწოლს ან სახლს და ფიზიკური ან ფსიქიკური პათოლოგიის გამო ესაჭიროებოდათ დახმარება, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე -შინ მოვლა.

ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირი დაფინანსდა 100%-ით. (გეგმა და საკასო ხარჯია 5,0 ათასი ლარი).

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 511,6 ათასი ლარით, გეგმა (532,6 ათასი ლარი) შესრულდა 96,1%-ით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ш. მურღულია